4.30.3. რეინსტალაცია შესაძლებელია, თუ რეინსტალაციის მსურველ პირს დაბრუნებული არა აქვს ის სატელეკომუნიკაციო მოწყობილობა/ზები, რომლებიც გამოიყენებოდა შეწყვეტილი "ოპტიკური მომსახურებ(ებ)ის" მიღებისას. მოწყობილობ(ებ)ის გამოყენების მიზნით კომპანია განახორციელებს რეინსტალაციის მსურველი პირისაგან აღნიშნული მოწყობლობ(ებ)ის შესყიდვას და მათი (მოწყობილობ(ებ)ის) ამავე პირისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემას, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი საფუძველზე.

4.30.4. მომსახურებ(ებ)ის რეინსტალაციისას, ინსტალირდება ის მოწყობილობები, რომლებიც გამოიყენებოდა შეწყვეტილი მომსახურებ(ებ)ის მიღების დროს. დაზიანებული მოწყობილობის არსებობის შემთხვევაში (დაზიანება არ არის გამოწვეული აბონენტის ბრალეულობით) მოხდება დაზიანებული მოწყობილობის შეცვლა კომპანიაში არსებული სტანდარტული პირობების შესაბამისად.

4.30.5. თუ რეინსტალაციის პროცესში აღმოჩნდება, რომ მოწყობილობა დაზიანებულია და დაზიანება გამოწვეულია რეინსტალაციის მსურველი ან მესამე პირის ბრალეული ქმედებით, ჩაითვლება, რომ კომპანიის მიერ მოწყობილობის შესყიდვის ოპერაცია გაუქმებულია და რეინსტალაცია განხორციელდება სხვა შესაბამისი მოწყობილობით (არ ხდება მოწყობილობ(ებ)ის დაუბრუნებლობის გამო დარიცხული სარეალიზაციო ღირებულების კორექტირება).

4.30.6. იმ შემთხვევაში, თუ აბონენტს / რეინსტალაციის მსურველ პირს არ დაუბრუნებია მოწყობილობები (რომლებიც გამოიყენებოდა შეწყვეტილი მომსახურებ(ებ)ის მიღებისას) და ამავე დროს აცხადებს, რომ აღნიშნული მოწყობილობები არ არის მის მფლობელობაში, რეინსტალაციაზე რეგისტრაციის განაცხადი არ მიიღება. თუ რეინსტალაციის მსურველ პირთან ადგილზე ვიზიტისას დადგინდება, რომ მას მფლობელობაში არა აქვს შეწყვეტილ მომსახურებ(ებ)ზე გამოყენებული მოწყობილობები, რეინსტალაციის განაცხადის მიღების მიუხედავად, მასთან მომსახურებ(ებ)ის რეინსტლაცია არ განხორციელდება. აღნიშნული განაცხადი გაუქმდება და რეინსტალაციის სურვილის შემთხვევაში რეგისტრაცია უნდა მოხდეს ხელმეორედ.

4.30.7. იმ შემთხვევაში, თუ შეწყვეტილი (გაუქმებული) მომსახურებ(ებ)ის შესაბამის სააბონენტო ანგარიშზე ფიქსირდება სხვა ისეთ მომსახურება/მომსახურებები, რომლის შესაბამისი ხელშეკრულებაც არ არის შეწყვეტილი, იზღუდება მესამე პირის (სხვა პირი, რომლის ფაქტობრივ და მართლზომიერ მფლობელობაშიც არის მოწყობილობები და რომელიც არ ყოფილა რეგისტრირებული შეწყვეტილი (გაუქმებული) მომსახურებების მიმღებ აბონენტად), რეგისტრაცია იმ შეწყვეტილი (გაუქმებული) მომსახურებ(ებ)ის რეინსტალაციაზე, რომლის მიღებაც ხდებოდა ამავე სააბონენტო ანგარიშის ფარგლებში.

4.30.8. რეინსტალაციაზე რეგისტრაციის მომენტისთვის უნდა მოხდეს მოწყობილობის იდენტიფიცირება, იმ ფაქტის დასადგენად, რომ აღნიშნული მომსახურება/ ხელშეკრულება შეწყვეტილია. იდენტიფიცირებისათვის აუცილებელია, რეინსტალაციის მსურველმა პირმა რეგისტრაციისას დააფიქსიროს მომსახურების ანგარიშის ნომერი ან/და მომსახურებების მოწყობის მისამართი.

4.30.9. რეინსტალაციაზე რეგისტრაციის დროს, რეინსტალაციის მსურველმა პირმა უნდა დააფიქსიროს, თუ რომელი შეწყვეტილი მომსახურებ(ებ)ის რეინსტალაცია სურს მას. რეგისტრაციისას აბონენტი ირჩევს რეინსტალაციაზე რეგისტრაციის პერიოდისათვის მოქმედ ნებისმიერ სააბონენტო პაკეტს/ებს, მიუხედავად იმისა, თუ რომელი სააბონენტო პაკეტ(ებ)ით სარგებლობდა აბონენტი რეინსტალაციას ქვემდებარე შეწყვეტილ მომსახურებ(ებ)ზე.

4.30.10. შეზღუდულია რეინსტალაციაზე და ახალი მომსახურების ინსტალაციაზე ერთდროული რეგისტრაცია მომსახურების ერთსა და იმავე მისამართზე.

4.30.11. დავალიანების გადაუხდელობის გამო სააბონენტო ხელშეკრულებისა და ოპტიკური მომსახურებების ავტომატურად შეწყვეტის (გაუქმების) შემდეგ, რეინსტალაციის მსურველ პირს შესაძლებლობა აქვს, მოითხოვოს ერთი ან რამდენიმე მომსახურების რეინსტალაცია - რაც გულისხმობს შეწყვეტილი/გაუქმებული მომსახურების ხელახალ ინსტალაციას/გააქტიურებას რეინსტალაციის მსურველი პირის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მოწყობილობ(ებ)ით.

4.30.12. რეინსტალაციის მსურველი პირისგან მოწყობილობის კომპანიის მიერ შესყიდვისას, მოწყობილობების გამოსყიდვის ფასი აისახება შეწყვეტილი (გაუქმებული) მომსახურებ(ებ)ის შესაბამის სააბონენტო ანგარიშზე. რეინსტალაციის დროს რეინსტალაციის მსურველი პირის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მოწყობილობები, კომპანიის მიერ გამოსყიდვის შემდეგ, რეინსტალაციის მსურველ პირს (აბონენტს) გადაეცემა დროებით სარგებლობაში.

4.30.13. იმ შემთხვევაში, თუ ხდება სილქფონ სატელეფონო მომსახურების რეინსტალაცია და სატელეფონო ნომერი რეინსტალაციის მოთხოვნის მომენტისთვის გასხვისებულია, აღნიშნული მომსახურების რეინსტალაციისას აბონენტს დროებით სარგებლობაში გადაეცემა ახალი სატელეფონო ნომერი.

4.30.14. იმ შემთხვევაში, თუ არ ხდება ყველა შეწყვეტილი (გაუქმებული) მომსახურების რეინსტალაცია, რეინსტალაციის მსურველმა პირმა უნდა დააბრუნოს იმ მომსახურების შესაბამისი მოწყობილობა/ები ან გადაიხადოს მათზე დარიცხული შესაბამისი სარეალიზაციო ღირებულება/ები, რომლის (მოწყობილობის) შესაბამისი მომსახურების რეინსტალაციაც არ ხდება. ასეთი მოწყობილობ(ებ)ის დაბრუნება უნდა მოხდეს მომსახურების რეინსტალაციამდე პერიოდში, რეინსტალაციის მსურველი პირის მიერ მოწყობილობის სერვის ცენტრში მიტანის გზით.

4.30.15. იმ შემთხვევაში, თუ მოწყობილობა/ები, მათ შორის, დამატებითი (wifi , wireless access point ) მოწყობილობა/ები დაზიანებულია რეინსტალაციის მსურველი ან მესამე პირის ბრალეული ქმედებით, მომსახურების რეინსტალაციისას დაზიანებული მოწყობილობ(ებ)ის სანაცვლოდ რეინსტალაციის მსურველ პირს დროებით სარგებლობაში გადაეცემა დაზიანებული მოწყობილობ(ებ)ის ანალოგიური ახალი მოწყობილობა/ები. ასეთ შემთხვევაში, რეინსტალაციის მსურველი პირი/აბონენტი ვალდებულია გადაიხადოს დაზიანებული მოწყობილობ(ებ)ის სარეალიზაციო ღირებულება. ახალი დამატებითი მოწყობილობ(ებ)ის დროებით სარგებლობაში გადაცემისას გავრცელდება პირველადი ინსტალაციისას, აბონენტებისთვის, ამ ტიპის მოწყობილობის გადაცემა/ინსტალაციის კომპანიაში მოქმედი სტანდარტული პირობები; დაზიანებული მოწყობილობის სარეალიზაციო ღირებულების გადახდა ხდება რეინსტალაციის ღირებულების გადახდასთან ერთად.

4.30.16. იმ შემთხვევაში, თუ აბონენტის მოწყობილობას აქვს ქარხნული წუნი, დაზიანებული მოწყობილობის შეცვლა მოხდება კომპანიაში მოქმედის სტანდარტული პირობის შესაბამისად.

4.30.17. რეინსტალაციის ღირებულების გადახდა ხდება შემდეგი წესით: თუ რეინსტალირებული მომსახურების/ების შესაბამის სააბონენტო ანგარიშზე არის აქტიური მომსახურებაც, გადასახადის გადახდა ხდება მომდევნო საანგარიშო თვეში სააბონენტო გადასახდელთან ერთად; ხოლო თუ სააბონენტო ანგარიშზე არ ფიქსირდება აქტიური მომსახურება, გადახდა ხდება რეინსტალირებული მომსახურების/ების გაატიურებიდან / ჩართვიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.

4.30.18. მომსახურებ(ებ)ის რეინსტალაციაზე რეგისტრაციიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში, რეინსტალაციის მსურველმა პირმა (რომელიც რეინსტალაციას ქვემდებარე, შეწყვეტილ მომსახურებებზე რეგისტრირებული იყო აბონენტად) უნდა დაფაროს მიმდინარე დავალიანება (გარდა სააბონენტო ანგარიშზე დარიცხული, მოწყობილობის სარეალიზაციო ღირებულებისა).

4.30.19. იმ შემთხვევაში, თუ რეინსტალაციაზე მოთხოვნას აფიქსირებს მესამე პირი (რომლის მართლზომიერ მფლობელობაშიც არის მოწყობილობები), მას არ აქვს ვალდებულება, დაფაროს შეწყვეტილი (გაუქმებული) მომსახურებების შესაბამის სააბონენტო ანგარიშზე არსებული დავალიანება.

4.30.20. იმ შემთხვევაში, თუ რეინსტალაციის მოთხოვნა დაფიქსირებულია იმ აბონენტის მიერ, ვის სახელზეც იყო მომსახურება/ები რეგისტრირებული, მაშინ მომსახურება აღდგება იგივე სააბონენტო ანგარიშზე, რომელ ანგარიშზეც იყო მომსახურებები რეგისტრირებული ხელშეკრულების შეწყვეტამდე.

4.30.21. იმ შემთხვევაში, თუ რეინსტალაციის მოთხოვნა დაფიქსირებულია მესამე პირის მიერ (რომლის მართლზომიერ მფლობელობაშიც არის მოწყობილობები), მაშინ მომსახურება/ები აღდგება ახალ სააბონენტო ანგარიშის ნომერზე.

4.30.22. რეინსტალაციის ღირებულება აბონენტს დაერიცხება რეინსტალაციის პირობით მომსახურებ(ებ)ის ინსტალაციის დასრულებისთანავე.

4.30.23. 10 მეტრი კაბელის ღირებულება გათვალისწინებულია რეინსტალაციის ღირებულებაში. ყოველ დამატებით ერთ მეტრ კაბელზე ინსტალაციის ღირებულება გაიზრდება შესაბამისი ტიპის კაბელის ერთი მეტრის ღირებულებით.

4.30.24. რეინსტალაციის შემდეგ მომსახურებაზე/ებზე მოქმედებს შესაბამისი მომსახურებების პროდუქტებით განსაზღვრული სტანდარტული ტარიფები.

4.30.25. თუ რეინსტალაციამდე აბონენტი სარგებლობდა ერთ ანგარიშზე არსებული ოთხივე (სამი ოპტიკური + ს1) მომსახურებით და ინტერნეტ და სილ ტვ მომსახურება არის გაუქმებული, ხოლო სილქფონი და მობილური ქსელის (ს1) სატელეფონო მომსახურება არის ს1 ორმაგ შეთავაზებაში ჩართული, ინტერნეტის და სილქ ტვ მომსახურების რეინსტალაციის შემთხვევაში, მომსახურებებზე ავტომატურად გააქტიურდება ერთ ანგარიშზე არსებული სამი ოპტიკური მომსახურება (სილქფონი, ინტერნეტ და სილქ ტვ მომსახურებები), ხოლო მობილური ქსელის (ს1) სატელეფონო მომსახურება აბონენტს გაუაქტიურდა, როგორც ცალკე მდგომი მომსახურება.

4.30.26. თუ რეინსტალაციამდე აბონენტი სარგებლობდა ერთ ანგარიშზე არსებული ოთხივე (სამი ოპტიკური + ს1) მომსახურებით და ინტერნეტ და სილ ტვ მომსახურება არის გაუქმებული, ხოლო სილქფონი და მობილური ქსელის (ს1) სატელეფონო მომსახურება არის ს1 ორმაგ შეთავაზებაში ჩართული, მხოლოდ სილქ ტვ მომსახურების რეინსტალაციის შემთხვევაში აბონენტს შეუნარჩუნდება ს1 ორმაგი შეთავაზება და სილქ ტვ მომსახურება დარეგისტრირდება იმავე სააბონენტო ანგარიშზე, როგორც ცალკე მდგომი სილქ ტვ მომსახურება.

4.30.27. რეინსტალაციის აბონენტს უფორმდება ახალი სტანდარტული სააბონენტო ხელშეკრულება, დანართი რეინსტალაციის პირობების შესახებ და რეინსტალაციის მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც ძალაში შედის რეინსტალირებული მომსახურებების მოწყობა/აქტივაციის დღიდან (მომსახურებებს მიღება მოხდება მათი შესაბამისი პროდუქტ(ებ)ის სტანდარტული პირობებით).

4.30.28. რეინსტალაციის შემდგომ, რეინსტალირებულ მომსახურებაზე/ებზე გავრცელდება მომსახურების გაუქმებისას საშეღავათო ღირებულების დარიცხვის პირობები (ახალი სტანდარტული სააბონენტო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად).

4.30.29. არ არის დასაშვები მისამართის ცვლილებისა და რეინსტალაციის მომსახურებაზე განაცხადების ერთდროულად რეგისტრაცია; პირველ ეტაპზე უნდა მოხდეს მომსახურებების რეინსტალაცია, ხოლო შემდგომ - მისამართის ცვლილების განაცხადის რეგისტრაცია.

**4.31. დამატებითი მომსახურების „დავალიანების გადახდის გადავადება“ პირობები**

4.31.1. ოპტიკური (GPON/P2P) მომსახურებების, კერძოდ, ინტერნეტ და/ან სილქ ტვ მომსახურებების, ასევე ოპტიკური ორმაგი, ერთ ანგარიშზე არსებული სამი ოპტიკური მომსახურების , ერთ ანგარიშზე არსებული ოთხივე (სამი ოპტიკური + ს1) მომსახურების ან ს1 სამმაგი შეთავაზებების მიმღებ ფიზიკურ პირ აბონენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ დამატებითი მომსახურებით - **„დავალიანების გადახდის გადავადება“ (შემდგომში „გადახდის გადავადება“)**, რომლის ფარგლებშიც, მათ ეძლევათ შესაძლებლობა, გადაავადონ აბონენტის ანგარიშზე არსებული დავალიანების გადახდა, აღნიშნული დამატებითი მომსახურების ღირებულების წინასწარ, ერთჯერადად გადახდის პირობით.

4.31.2. აბონენტს „გადახდის გადავადების“ მომსახურების გააქტიურება შეუძლია დავალიანების დაანგარიშებისა და სმს შეტყობინებით კოდის მიღების შემდეგ: ა) სააბონენტო გადასახდელის გადახდის თარიღამდე ან ბ) გადახდის თარიღის დადგომის (მომსახურებების შეზღუდვის) შემდგომ - **მომდევნო გადახდის თარიღამდე ვადით** (ამ უკანასკნელ შემთხვევაში, მოხდება შეზღუდული მომსახურების აღდგენა).

4.31.3. „გადახდის გადავადების“ მომსახურების გააქტიურება შესაძლებელია სხვადასხვა საგადახდო სისტემების მეშვეობით, აბონენტისთვის სმს შეტყობინების სახით გაგზავნილი აქტივაციის კოდის საშუალებით.

**4.31.4. „დავალიანების გადავადების“ მომსახურების ღირებულება განისაზღვრება 3 (სამი) ლარის ოდენობით.**

4.31.5. „გადახდის გადავადების“ მომსახურების გააქტიურების შემდგომ, მომდევნო გადახდის თარიღისათვის „აბონენტს“ სააბონენტო ანგარიშის მიმდინარე ბალანსზე დავალიანება გამოუჩნდება ჯამურად: გადავადებულ დავალიანებას დამატებული მიმდინარე („გადახდის გადავადების“ მომსახურების გააქტიურების თვის მომდევნო თვის შესაბამისი) დავალიანება.

4.31.6. „გადახდის გადავადების“ მომსახურების გააქტიურების შემდგომ, მომდევნო გადახდის თარიღისათვის აბონენტს შეუძლია ა) სრულად დაფაროს, როგორც გადავადებული დავალიანება, ისე საანგარიშო თვის დავალიანება ან ბ) დაფაროს მხოლოდ გადავადებული დავალიანება და „გადახდის გადავადების“ მომსახურებით გადაავადოს საანგარიშო თვის დავალიანება.

4.31.7. იმისათვის, რომ აბონენტმა ისარგებლოს „გადახდის გადავადების“ მომსახურებით, უნდა განახორციელოს სხვადასხვა საგადახდო სისტემაში სმს შეტყობინებით მიღებული კოდის აკრეფა და გადავადების მომსახურების ღირებულების გადახდა - ზუსტი ოდენობით (სმს კოდის არასწორად აკრეფის შემთხვევაში, აბონენტი სმს შეტყობინებით ხელახლა მიიღებს კოდს).

4.31.8. სხვადასხვა საგადახდო სისტემაში „გადახდის გადავადების“ მომსახურების ღირებულებაზე ნაკლები თანხის შეტანის შემთხვევაში, არ მოხდება „გადახდის გადავადების“ მომსახურების გააქტიურება და ასეთ დროს შეტანილი თანხა აისახება აბონენტის სააბონენტო ანგარიშზე (მოხდება დავალიანების შემცირება შეტანილი თანხის პროპორციულად).

4.31.9. სხვადასხვა საგადახდო სისტემაში დავალიანების სრული ღირებულების ტოლი ან მეტი თანხის შეტანის შემთხვევაში, არ მოხდება „გადახდის გადავადების“ მომსახურების გააქტიურება და ასეთ დროს შეტანილი თანხით სრულად დაიფარება მიმდინარე დავალიანება.

4.31.10. „გადახდის გადავადების“ მომსახურების გააქტიურების შემდეგ, დავალიანების დაფარვისას, ჯერ იფარება გადავადებული დავალიანება, ხოლო შემდეგ - მიმდინარე დავალიანება, რომლის გადავადებაც შესაძლებელია.

4.31.11. „გადახდის გადავადების“ დამატებითი მომსახურების პირობებზე (N2 დანართის პუნქტი 4.31.) აბონენტის თანხმობა გაცხადებულად ჩაითვლება აბონენტის მიერ საგადახდო სისტემების საშუალებით, დავალიანების გადახდის გადავადების ქმედების განხორციელებაზე, ელექტრონულად დადასტურების მომენტიდან.

**4.32. დამატებითი მომსახურების „დავალიანების გადანაწილება“ პირობები**

4.32.1. ოპტიკური (GPON/P2P) მომსახურებების, კერძოდ, ინტერნეტ და/ან სილქ ტვ მომსახურებების, ასევე ოპტიკური ორმაგი, ერთ ანგარიშზე არსებული სამი ოპტიკური მომსახურების , ერთ ანგარიშზე არსებული ოთხივე (სამი ოპტიკური + ს1) მომსახურების ან ს1 სამმაგი შეთავაზებების მიმღებ ფიზიკურ პირ აბონენტებს, შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ დამატებითი მომსახურებით - **„დავალიანების გადანაწილება“** (შემდგომში „დავალიანების გადანაწილება“), რომლის ფარგლებშიც, „აბონენტის“ მიერ დამატებითი მომსახურების ღირებულების წინასწარ, ერთჯერადად გადახდის შემდგომ, „აბონენტი“ დავალიანებას დაფარავს 10 (ათი) კალენდარულ თვეზე თანაბრად გადანაწილებული თანხის სს „სილქ როუდ ბანკისათვის“ ყოველთვიური გადახდით (სს „სილქნეტისა“ და სს „სილქ როუდ ბანკის“ ერთობლივი პროდუქტის ფარგლებში). „დავალიანების გადანაწილების“ მომსახურების გააქტიურების შემდგომ, „სილქნეტის“ სააბონენტო ანგარიშზე აბონენტს აღარ დაუფიქსირდება დავალიანება.

4.32.2. აბონენტს „დავალიანების გადანაწილების“ დამატებითი მომსახურებით სარგებლობა შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისარგებლა „დავალიანების გადახდის გადავადების“ დამატებითი მომსახურებით და ერიცხება სააბონენტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადავადებული და მიმდინარე გადასახდელები (დავალიანება).

4.32.3. აბონენტს „დავალიანების გადანაწილების“ მომსახურების გააქტიურება შეუძლია დავალიანების დაანგარიშებისა და მოკლე ტექსტური შეტყობინებით (შემდგომში „სმს შეტყობინება“) დამატებითი მომსახურების აქტივაციის კოდის მიღების შემდეგ: ა) სააბონენტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადავადებული და მიმდინარე გადასახდელების (დავალიანების) ჯამურად გადახდის თარიღამდე ან ბ) გადახდის თარიღის დადგომის (მომსახურებების შეზღუდვის) შემდგომ (ამ უკანასკნელ შემთხვევაში, მოხდება შეზღუდული მომსახურების/ების აღდგენა).

4.32.4.„დავალიანების გადანაწილების“ დამატებითი მომსახურებით სარგებლობის ღირებულება განისაზღვრება დავალიანების გადასანაწილებელი თანხის 20% (ოცი პროცენტის) ოდენობით, რომელსაც „აბონენტი“ უხდის „სილქნეტს“, წინასწარ, სრულად და ერთჯერადად.

4.32.5.„დავალიანების გადანაწილების“ მომსახურების ღირებულებაზე ნაკლები თანხის შეტანის შემთხვევაში, არ მოხდება „დავალიანების გადანაწილების“ მომსახურების გააქტიურება და ასეთ დროს შეტანილი თანხა აისახება „სილქნეტის“ სააბონენტო ანგარიშზე (მოხდება მომდევნო თვეში შესატანი თანხის პროპორციულად შემცირება).

4.32.6. დავალიანების სრული ღირებულების ტოლი ან მეტი თანხის შეტანის შემთხვევაში, არ მოხდება „დავალიანების გადანაწილების“ მომსახურების გააქტიურება და ასეთ დროს შეტანილი თანხით სრულად დაიფარება მიმდინარე დავალიანება.

4.32.7. იმ პერიოდში, როდესაც აბონენტი სარგებლობს „დავალიანების გადანაწილების“ დამატებითი მომსახურებით, მისთვის ხელმისაწვდომი არ იქნება „დავალიანების გადახდის გადავადების“ დამატებითი მომსახურება.

4.32.8. „დავალიანების გადანაწილების“ მომსახურების გააქტიურება შესაძლებელია სხვადასხვა საგადახდო სისტემების მეშვეობით დისტანციური გარიგების დადების გზით, რა დროსაც აბონენტთან იდება „**სს „სილქნეტისა“ და სს „სილქ როუდ ბანკის“ ერთობლივი პროდუქტით „დავალიანების გადანაწილება“ სარგებლობის შესახებ შეთანხმება“**, რომელიც ძალაშია სააბონენტო ხელშეკრულებასთან ერთად. ელექტრონული ფორმით შედგენილ ზემოხსენებულ დოკუმენტს გააჩნია მატერიალურად შედგენილი დოკუმენტის იურიდიული ძალა, ხოლო აბონენტის მიერ შეთანხმების პირობებზე დათანხმებას - ხელმოწერის იურიდიული ძალა.

4.32.9. წინამდებარე შეთანხმების ბეჭდური ვერსიის მიღება შესაძლებელია სს „სილქნეტისა“ და სს „სილქ როუდ ბანკის“ ოფისებში.

4.32.10. „სს „სილქნეტისა“ და სს „სილქ როუდ ბანკის“ ერთობლივი პროდუქტით „დავალიანების გადანაწილება“ სარგებლობის შესახებ შეთანხმების“ ირგვლივ არსებული დავები გადაწყდება სასამართლო წესით.

**5. დაზიანების აღმოფხვრა და ვადები**

5.1.დაზიანების აღმოფხვრა „კომპანიის“ მხრიდან ხორციელდება „რეგლამენტის“, „ხელშეკრულებისა“ და მისი დანართების პირობების შესაბამისად, ხოლო Silk TV-სთან დაკავშირებული სატელევიზიო სიგნალის დაზიანების აღმოფხვრა „კომპანიის“ მიერ განხორციელდება „აბონენტის“ მიერ განაცხადის დაფიქსირებიდან არაუგვიანეს 48 საათისა.

5.2. „მხარეები“ თანხმდებიან, რომ „კომპანია“ უფლებამოსილია ნებისმიერ დროს დროებით შეაჩეროს ან/და შეზღუდოს „მომსახურება“ პროფილაქტიკური სამუშაოების ჩასატარებლად, „რეგლამენტით“ დადგენილი წესის შესაბამისად.

5.3.„აბონენტის“ მიერ ნებისმიერი ტიპის დაზიანების შემთხვევაში, წერილობითი განცხადება წარდგენილი უნდა იქნეს „კომპანიის“ ნებისმიერ სერვის–ცენტრში, ან ზეპირი შეტყობინება უნდა განხორციელდეს მხოლოდ სატელეფონო მომსახურების ცენტრის ცხელ ხაზზე - 2 100 100.

5.4.„მომსახურებასთან“ დაკავშირებული საჩივრებისა და პრეტენზიების განხილვა ხორციელდება „კომპანიის“ მიერ „ხელშეკრულებისა“ და „რეგლამენტის“ შესაბამისად. “კომპანია“ ვალდებულია „აბონენტის“ ზემოაღნიშნული განაცხადის მიღებიდან „რეგლამენტის“ მე-$18^1$ მუხლით განსაზღვრულ ვადებში აღმოფხვრას დაზიანება. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული დაზიანების აღმოფხვრის ვადას „რეგლამენტი“ არ ითვალისწინებს, „კომპანია“ უფლებამოსილია აღმოფხვრას დაზიანება, „აბონენტისაგან“ შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 6 კალენდარული დღისა.

6. მომსახურების აუცილებელი საინსტალაციო სამუშაოები და მისი ღირებულება

6.1.„ხელშეკრულებაზე“ ხელმოწერით „აბონენტი“ აცხადებს თანხმობას „კომპანიის“ მიერ ჩასატარებელ ნებისმიერ საინსტალაციო სამუშაოებზე, რომლებიც აუცილებელია „მომსახურების“ მისაწოდებლად და იღებს უპირობო ვალდებულებას ნებისმიერი სახის მოთხოვნაზე, სარჩელზე ან/და სხვა სახის პრეტენზიაზე (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს იმ პირების მოთხოვნებს ან/და პრეტენზიებს, რომელთა საკუთრებაზეც განხორციელდა ამგვარი საინსტალაციო სამუშაოები), რომელიც წამოყენებულ შეიძლება იქნას „კომპანიის“ მიმართ საინსტალაციო სამუშაოების მიმდინარეობისას ან/და მის შემდგომ პერიოდში. ამასთანავე, „მხარეები“ თანხმდებიან, რომ თუკი საინსტალაციო სამუშაოების შეფერხება/შეუსრულებლობა გამოწვეულია „კომპანიისათვის“ ამგვარი მოთხოვნების წაყენებით, რაც იწვევს „კომპანიის“ ვალდებულებების შეუსრულებლობას/შეფერხებას, „კომპანია“ სრულად თავისუფლდება ამგვარი შეუსრულებლობით/შეფერხებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან. „მხარეები“ დამატებით თანხმდებიან, რომ თუკი „აბონენტის“ მიერ ამ პუნქტით განსაზღვრული ვალდებულებების დარღვევა გამოიწვევს ან/და საფრთხეს შეუქმნის „მესამე პირებისათვის“ „კომპანიის“ მომსახურების მიწოდებას, „აბონენტი“ ვალდებულია „კომპანიას“ სრულად აუნაზღაუროს ასეთი მომსახურების მიუწოდებლობით „კომპანიისათვის“ მიყენებული ზიანი ან/და ზარალი.

6.2.თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული „ხელშეკრულებით“ ან/და მისი შესაბამისი დანართებით, “მხარეები“ თანხმდებიან, რომ „მომსახურების ღირებულება“ ასევე მოიცავს „მომსახურების“ გააქტიურების ან/და „ტექნიკური საშუალებების“ (ამგვარის არსებობის შემთხვევაში) დროებით სარგებლობაში გადაცემის ღირებულებას.

**7.„აბონენტისა“ და „კომპანიის“ ძირითადი უფლებები და ვალდებულებები, „მომსახურების“ მიღების/ცვლილების ძირითადი პირობები**

**7.1.“აბონენტი” ვალდებულია/აცხადებს თანხმობას** (კონტექსტის შესაბამისად):

7.1.1.სრულად და დადგენილ ვადაში გადაიხადოს „მომსახურების ღირებულება“;

7.1.2.არ დაუშვას მიწოდებული „მომსახურების“ ჩართვა ფროდთან ასოცირებულ საერთაშორისო ან სხვა ფასიანი ტრაფიკის არასანქცირებული გატარების ან/და ”ფროდის“ მიზნით განხორციელებულ მოქმედებებსა და სქემებში, ასევე დაიცვას „კომპანიის“ ქსელთან მიერთებული ნებისმიერი საკუთარი ან დროებით სარგებლობაში გადაცემული მოწყობილობა ან/და „ტექნიკური საშუალება“ ნებისმიერი უნებართვო შეღწევისა და გამოყენებისაგან. „აბონენტი“ უპირობოდ აღიარებს აღნიშნული ქმედებების შედეგად, „კომპანიის“ მიმართ წარმოქმნილ ნებისმირი სახის დავალიანებას ან/და მიყენებულ ზარალს.

7.1.3.შემოსული ან გასული ტრაფიკის და სხვა ტიპის ზარების შესახებ დავის განხილვისას, დაეთანხმოს მხოლოდ „კომპანიის“ მიერ წარმოდგენილ ჩანაწერებს, თუ მარეგულირებელი ორგანოს/სასამართლოს მიერ სხვა რამ არ დადგინდება.

7.1.4. მხოლოდ საკუთარი მოხმარებისათვის გამოიყენოს საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით მიღებული მომსახურება და არ დაუშვას კომპანიისაგან მიღებული მომსახურების შემდგომი გადაყიდვა პირდაპირი ან ირიბი ფორმით (მაგალითად, აბონენტების აყვანა ან სხვ.)/ ან ნებისმიერი სხვა ფორმით გადაცემა მესამე პირზე; აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება იმ შემთხვევაზე, როცა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მისამართზე განთავსებული უძრავი ნივთი გაქირავებულია და გამქირავებელს დამქირავლებისათვის გადაცემული აქვს მომსახურების მიღების უფლება); ამ პუნქტის დარღვევის შემთხვევაში, კომპანია უფლებამოსილია დააკისროს აბონენტს ჯარიმა, კომპანიისგან მიღებული მომსახურების შემდგომი გადაყიდვის შემთხვევაში - 20,000.00 (ოცი ათასი), ხოლო შემდგომი გადაცემის შემთხვევაში - 5000 ლარის ოდენობით და მოითხოვოს კომპანიისთვის მიყენებული ზიანის/ზარალის ანაზღაურება.

7.1.5.დაეთანხმოს (შემდგომი დამატებითი აქცეპტის ან/და თანხმობის გარეშე) „კომპანიის“ მიერ მისთვის („აბონენტისათვის“) გამოყოფილი ნუმერაციის რესურსის ცვლილებას, თუკი ამგვარი ცვლილება გამოწვეულია/განპირობებულია „კომისიის“ ან/და სხვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გამოცემული შესაბამისი აქტით, ხოლო თუ არ ეთანხმება აღნიშნულ ცვლილებებს, შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება ამავე „ხელშეკრულებისა“ და მისი დანართების პირობების შესაბამისად.

7.1.6. აბონენტი იძლევა თანხმობას რომ მის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკონტაქტო ინფორმაცია შეიძლება გამოყენებულ იქნას „კომპანიის“ მიერ რეკლამის მისაწოდებლად ან/და სხვა კანონიერი მიზნებისათვის, მათ შორის კომპანიის ნუმერაციის რესურსით „118-18“ საინფორმაციო-საცნობარო მომსახურების მესამე პირებისთვის მიწოდების მიზნით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აბონენტი წინასწარ წერილობით უარს აცხადებს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული აბონენტის მონაცემების „118-18“ საინფორმაციო-საცნობარო მომსახურების ფარგლებში, მესამე პირებისთვის მიწოდებაზე;

7.1.7.ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულოს „ხელშეკრულებით“ ან/და მისი დანართებით ნაკისრი ვალდებულებები.

7.1.8.„ხელშეკრულების“ შეწყვეტის შემთხვევაში, აბონენტი ვალდებულია დაუბრუნოს „კომპანიას“ მისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემული „ტექნიკური საშუალებები“ წინამდებარე ან/და კონკრეტული სახის მომსახურების შესაბამის დანართში განსაზღვრულ ვადაში და პირობებით (ასეთი პირობის არსებობისას).

7.1.9. დანართი N2–ის 7.1.8. პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში „ტექნიკური საშუალებების“ დაუბრუნებლობა ან მათი გაუმართავ მდგომარეობაში დაბრუნება ჩაითვლება „ტექნიკური საშუალებების“ „აბონენტის“ მიერ შესყიდვად, რისთვისაც მას დაერიცხება და გადასახდელი ექნება ,,ტექნიკური საშუალებების“ ღირებულება, „ხელშეკრულების“ შეწყვეტის მომენტისათვის „კომპანიის“ ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის (ფასების) შესაბამისად.

7.1.10.„ტექნიკური საშუალებების“ ღირებულება „კომპანიისათვის“ გადახდილი უნდა იქნეს დანართი N2–ის 7.1.8. ქვეპუნქტში მითითებული ვადის გასვლიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

7.1.11. უზრუნველყოს მომსახურებით სარგებლობა ისე, რომ არ მოხდეს მისი გამოყენება კომერციული ან მსგავსი მიზნებით, მათ შორის, სარეკლამო გზავნილები/ ზარები, განამაწილებელი პუქნტი, შიდა კავშირის მოწყობილობა, SIM Boxsingს ან სხვა მსგავის საოპერატორო აქტივობები.

**7.2. „აბონენტი“ უფლებამოსილია:**

7.2.1.აირჩიოს მისთვის სასურველი „მომსახურების სატარიფო გეგმა“ (პაკეტი) „ხელშეკრულების“ ან/და მისი დანართებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

7.2.2.შეატყობინოს „კომპანიას“ ნებისმიერი დაზიანების შესახებ.

**7.3. „კომპანია“ ვალდებულია:**

7.3.1. „აბონენტს“ მიაწოდოს „ხარისხიანი მომსახურება“ „ხელშეკრულებით“ და “რეგლამენტით” განსაზღვრული პირობების შესაბამისად, დღე-ღამის 24 საათის განმავლობაში უწყვეტად, გარდა გადაუდებელი სარემონტო და პროფილაქტიკური სამუშაოების მიმდინარეობისა და „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული სხვა გამონაკლისებისა.

7.3.2.„ხელშეკრულებითა“ და „რეგლამენტით“ განსაზღვრული წესითა და ვადებში აღმოფხვრას „მომსახურებასთან“ დაკავშირებული დაზიანება.

7.7.3.კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებები.

7.3.4. დანართი N2–ის მე-10 მუხლით გათვალისწინებული ინდივიდუალური შეტყობინების განხორციელების გზით, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებში, გააფრთხილოს „აბონენტი“ მომსახურების მოსალოდნელი (დაგეგმილი) შეზღუდვის ან/და „კომპანიის“ ინიციატივით მომსახურების ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე.

**8.ფორს-მაჟორი**

8.1. „ხელშეკრულების“ მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელია „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება; „დაუძლეველი ძალის“ ქვეშ იგულისხმება გარემოებები, რომლებიც არ არსებობდნენ „ხელშეკრულების“ დადების დროს და რომელთა დადგომა თუ ზემოქმედება „ხელშეკრულების“ მხარეებს არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ და გადაელახათ; დაუძლეველი ძალის გარემოებებს მიეკუთვნება სტიქიური უბედურებები (წყალდიდობა, მიწისძვრა, ხანძარი და სხვა) აფეთქებები (მათ შორის ტერორისტული თუ დივერსიული აქტები), საომარი მოქმედებები (მათ შორის სამოქალაქო არეულობები და გაფიცვები), „ხელისუფლების“ ისეთი აქტები, რაც არსებითად აფერხებს „ხელშეკრულების“ მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და სხვ.;

8.2. თუ ზემოხსენებულმა გარემოებებმა უშუალოდ იმოქმედეს „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადებზე, მაშინ ეს ვადები ამ გარემოებების მოქმედების დროს თანაბარზომიერად გაიზრდება. „ხელშეკრულების“ მხარე, რომლისათვისაც ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის გამო შეუძლებელი გახდა ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია შეატყობინოს „ხელშეკრულების“ მეორე მხარეს საჯაროდ ან ინდივიდუალურად. შეუტყობინებლობის, ან დაგვიანებით შეტყობინების შემთხვევაში „ხელშეკრულების“ მხარე კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველს.

**9.განცხადებები და გარანტიები**

9.1. „ხელშეკრულებაზე“ ხელმოწერით „აბონენტი“ ადასტურებს, რომ მას გააჩნია სრული უფლებამოსილება მის სახელზე დარეგისტრირდეს (გაფორმდეს) „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული ყველა „მომსახურება“. ასევე „აბონენტი“ აღიარებს და ადასტურებს, რომ მას მოპოვებული აქვს ყველა საჭირო თანხმობა თუ ნებართვა, რომელიც აუცილებელია ამგვარი „მომსახურებების“ მის სახელზე დასარეგისტრირებლად (გასაფორმებლად).

9.2. „კომპანიის“ მიერ ტელევიზიის (Silk TV) საშუალებით, კანონით დადგენილ ვადებში განხორციელებული ნებისმიერი შეტყობინება („აბონენტის“ მიერ ასეთი „მომსახურებით“ სარგებლობის შემთხვევაში), შეთანხმება ან შეთავაზება (რაც მოიცავს, (მაგრამ არ შემოიფარგლება) ნებისმიერი ტარიფის ცვლილებას), რომელიც დადასტურებული იქნება „აბონენტის“ მიერ დისტანციურად მართვად მოწყობილობაზე შესაბამისი თანხმობის ღილაკის (OK) დაჭერით, ჩაითვლება „აბონენტის“ თანხმობად და „ელექტრონულ ხელმოწერად“ ამგვარ შეტყობინებაზე, შეთანხმებასა თუ შეთავაზებაზე და ასეთ “ელექტრონულ ხელმოწერას” ექნება მატერიალურ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა.

9.3. „ხელშეკრულება“ მასში განსაზღვრული ვალდებულებებითა და უფლებებით ვრცელდება და სავალდებულოა შესასრულებლად „მხარეთა“ უფლებამონაცვლეებისა თუ მემკვიდრეებისათვის/ სამართალმემკვიდრეებისათვის.

9.4. „აბონენტს“ უფლება არა აქვს „კომპანიის“ წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე „მესამე პირს“ გადასცეს ან გადააბაროს მასზე „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულება ან მინიჭებული უფლება (გარდა „აბონენტის“ მიერ სააბონენტო თანხის გადახდის ვალდებულებისა).

9.5. „კომპანიის“ უარი გამორიცხავს ნებისმიერი ზემოაღნიშნული ქმედების ან/და გარიგების განხორციელების შესაძლებლობას და შესაბამისად, ამ წესის დარღვევით განხორციელებული ქმედება ან/და გარიგება ბათილია და არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს, გარდა “კანონმდებლობით” ცალსახად განსაზღვრული შემთხვევებისა. ამასთან, ეს დებულება არ გულისხმობს დათქმას, რომ „აბონენტმა“ პირადად უნდა შეასრულოს ვალდებულებები და არ გამორიცხავს „კომპანიის“ უფლებას, მიიღოს მესამე პირისაგან შემოთავაზებული შესრულება, მიუხედავად იმისა, თანახმაა თუ არა “აბონენტი”.

9.6. „მხარეები“ ადასტურებენ, რომ „ხელშეკრულების“ შინაარსი ზუსტად გამოხატავს „მხარეთა“ ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა “ხელშეკრულების” შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოოდენ სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან.

9.7. „აბონენტი“ აცხადებს და ადასტურებს, რომ მას ჩაბარდა ხელშეკრულება მისი დანართებითურთ და ეთანხმება „კომპანიის“ მიერ „მომსახურების“ გაწევის „ხელშეკრულებითა“ და მისი დანართებით გათვალისწინებულ წესსა და პირობებს. „აბონენტი“ ასევე აცხადებს თახმობას, რომ ხელს მოაწერს „ხელშეკრულებით“ განსაზღვრულ დოკუმენტებს (მათ შორის დანართებს, „ტექნიკური საშუალებების“ „კომპანიისათვის“ უკან დაბრუნების მიღება-ჩაბარების აქტს) და შეასრულებს მათ პირობებს;

9.8.აბონენტის მიერ „აქციის“ პირობებზე თანხმობის შემთხვევაში, მხარეთა შორის ფორმდება შესაბამისი დანართი, რომელიც წარმოადგენს „ხელშეკრულების“ განუყოფელ ნაწილს. აქციის პირობებზე თანხმობის განხორციელება ასევე შესაძლებელია „აბონენტის“ მიერ სატელეფონო დარეკვითა და “პერსონალური კოდის” გამოყენებით.

9.9. მხარეები თანხმდებიან, რომ „ხელშეკრულების“ N1 და N2 დანართების პირობებს შორის სხვაობისას, შეზღუდვა/აღდგენა/შეწყვეტა/დაპაუზების პირობებში უპირატესობა ენიჭება N2 დანართის პირობებს.

9.10. თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული „მომსახურების“ შესაბამისი დანართის პირობებით („ხელშეკრულებით“ ან/და დანართებით), „ხელშეკრულების“ გაფორმებით აბონენტი ყიდულობს „მომსახურებას“ და მას საკუთრებაში არ გადაეცემა რაიმე სახის „ტექნიკური საშუალებები“ ან/და ნივთი ან/და ნუმერაციის რესურსი (სატელეფონო ნომერი), რომლის სარგებლობის უფლების მინიჭებაც ხდება „აბონენტისთვის“ (ამგვარის არსებობის შემთხვევაში);

9.11. „აბონენტი“ წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ მან სრულად და ჯეროვნად მიიღო „კომპანიისაგან“ მის მიერ მოთხოვნილი და „ხელშეკრულების“ დანართებში ასახული სატელეკომუნიკაციო მომსახურების ინსტალაციასთან დაკავშირებული მომსახურება და ამ მომსახურებისთვის საჭირო სხვადასხვა ძირითადი და დამხმარე ტიპის მოწყობილობები („ტექნიკური მოწყობილობები“), რომელთა ჩამონათვალი გათვალისწინებულია შესაბამის დანართებში. აბონენტ იურიდიულ პირებთან „ტექნიკური მოწყობილობების“ გადაცემისა და ინსტალაციის თაობაზე დამატებით ფორმდება შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტი.

9.12. „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული მომსახურების გააქტიურება მოხდება „ხელშეკრულების“ ხელმოწერისა და ტექნიკური სამუშაოების დასრულების დღიდან არაუგვიანეს 24 საათისა.

9.13. ყოველგვარი ეჭვის თავიდან ასაცილებლად, „მხარეები“ აცხადებენ და ადასტურებენ, რომ „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული ნებისმიერი პირგასამტეხლოს ან/და ჯარიმის მეორე (დამრღვევი) „მხარისათვის“ დაკისრება წარმოადგენს შესაბამისი (არადამრღვევი) „მხარის“ უფლებას და არა ვალდებულებას.

9.14. „აბონენტი“ აცხადებს, რომ მის მიერ წარმოდგენილი მონაცემები, მათ შორის რეკვიზიტები, სწორია.

9.15 „აბონენტი“ ვალდებულია „კომპანიას“ დაუყოვნებლივ აცნობოს რეკვიზიტების ცვლილების შესახებ „კომპანიის“ სატელეფონო ცხელ ხაზზე: 2 100 100 დარეკვით („კომპანიის“ მიერ „აბონენტის“ იდენტიფიცირებით - „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული „აბონენტის“ საკონტაქტო ინფორმაციის მეშვეობით) ან სერვის–ცენტრში წერილობითი განაცხადის საშუალებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, „კომპანია“ იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას „აბონენტის“ მისთვის ცნობილ ბოლო მისამართზე გაგზავნილი შეტყობინების შედეგად წარმოშობილ ნებისმიერი სახის შესაძლო ზიანსა თუ ზარალზე.

